ჯონ სტიუარტ მილი

თავისუფლების შესახებ

1859

JOHN STUART MILL

ON LIBERTY

1859

გამომცემლობა აქტი
თბილისი - 2022

ჯონ სტიუარტ მილის „თავისუფლების შესახებ“, რომელიც 1859 წელს გამოქვეყნდა, ინდივიდუალური თავისუფლების ერთ-ერთი ყველაზე მჭევრმეტყველური დაცვაა მეცხრამეტე საუკუნის სოციალურ და პოლიტიკურ ფილოსოფიაში და დღესდღეობით, შესაძლოა, ყველაზე მეტად კითხვად ლიბერალურ არგუმენტს წარმოადგენს თავისუფლების მხარდასაჭერად. მილის მიერ თავისუფალი ნების, ინდივიდუალობისა და მრავალფეროვნების მგზნებარე დაცვა იძულებითი ერთფეროვნებისა და გავრცელებული მოსაზრების დესპოტურობის სიძულვილთან ერთად იწვევდა, როგორც აღტაცებას, ისე გაკიცხვას.

თარგმანი შესრულებულია შემდეგი
გამოცემის მიხედვით:
Batoche Books
Kitchener
2001

ავტორი: ჯონ სტიუარტ მილი
მთარგმნელი: გია ბერაძე
გამომცემელი: გიზო ცაცუა
კორექტორი: ეკატერინე კვირკველია

გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-4237-5

სარჩევი

მიძღვნა 5
წინასიტყვაობა 7
    რეზიუმე 8
    კომენტარი 17

ჯონ სტიუარტ მილი
თავისუფლების შესახებ

თავი I
შესავალი 23
თავი II
აზრისა და კრიტიკის თავისუფლების შესახებ 47
თავი III
ინდივიდუალობაზე, როგორც კეთილდღეობის ერთ-ერთ ელემენტზე ..113
თავი IV
ინდივიდზე საზოგადოების ძალაუფლების ზღვარის შესახებ..... 146
თავი V
გამოყენება..... 180

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები..... 219–221

მიძღვნა

დიად და წამყვან პრინციპს, რომელზეც უშუალოდ დაიყვანება ამ ფურცლებზე გაშლილი ყველა მსჯელობა, წარმოადგენს ადამიანური განვითარების აბსოლუტური და არსებითი მნიშვნელობა მთელი მისი მდიდარი მრავალფეროვნებით.

ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი:
„მთავრობის მოქმედების სფერო და ვალდებულებები“

მას, ვინც მიყვარდა და ვის მოგონებასაც დავტირი, ვინც შთამაგონებელი და, ნაწილობრივ, ავტორი იყო ყოველივესი, რაც კი საუკეთესოა ჩემს ნაწერებში – მეგობარსა და მეუღლეს, რომლის ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ამაღლებული გრძნობა ჩემი უძლიერესი სტიმული იყო, და ვის მიერ მოწონება იყო ჩემი უდიდესი ჯილდო – მას ვუძღვნი ამ ნაშრომს. მსგავსად იმ ყველაფრისა, რაც მრავალი წლის განმავლობაში შემიქმნია, ეს თხზულება არამხოლოდ მე, არამედ მასაც ეკუთვნის. მაგრამ ნაშრომი იმ სახით, როგორითაც არსებობს, არასაკმარისი ხარისხით იქნა შესწორებული მის მიერ. ზოგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი კიდევ უფრო საგულდაგულო შესწავლისთვის იქნა გადადებული, რაც ახლა ვეღარასოდეს მოხდება. მე რომ შემწევდეს უნარი, ნახევარი მაინც გადავცე სამყაროს იმ დიადი აზრებისა და კეთილშობილი გრძნობების, რომლებიც მასთან ერთად არის დამარხული, შუამავლად ვიქცეოდი ამისთვის და მეტ სარგებლობას მოვიტანდი, ვიდრე ჩემი შრომებით შევძლებ მისი უბადლო სიბრძნის სტიმულისა და დახმარების გარეშე.

ჯონ სტიუარტ მილი

წინასიტყვაობა

ჯონ სტიუარტ მილი (1806-1873) იყო ინგლისელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი. თავისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ესსეი, „თავისუფლების შესახებ“, მან 1859 წელს დაწერა. მილის მამა, ჯეიმს მილი, ცდილობდა, რომ შვილი მკაცრ უტილიტარისტად გაეზარდა. მილის ბავშვობა აღსავსე იყო სისასტიკით, ოცდაერთი წლის ასაკში მან ნერვული შეტევა გადაიტანა, როდესაც თავის შეხედულებებში ეჭვის შეტანას შეუდგა. მოგვიანებით მილს გაუჩნდა შეგრძნება, რომელსაც ებრძოდა, კერძოდ, რომ უტილიტარიზმი მეტისმეტად უემოციო რამ იყო და არ ძალუძდა „უმაღლეს“ სიამოვნებათა მოხელთება ან გაგება. ესსეი „თავისუფლების შესახებ“ შეიძლება წავიკითხოთ, როგორც მცდელობა სარგებლობის ცნების გაფართოებისა და იმის ჩვენების, რომ უტილიტარიზმს უფლებათა მყარი დაცვის შეთავაზება შეუძლია. გარდა ამისა, ესსეი ასახავს მილის მგზნებარე რწმენას იმისა, რომ ინდივიდუალობა დაცული და განვითარებული უნდა იქნეს. როგორც ასეთი, ესსეი აგრეთვე გვიჩვენებს მის სიძულვილს იმ საშუალებებისა, რომლებითაც საზოგადოება, მისი აზრით, ნონკონფორმიზმს ებრძვის. ესსეი „თავისუფლების შესახებ“ მილის სოციალური და პოლიტიკური ნაშრომების მხოლოდ ერთი მაგალითია. მის სხვა შრომებს შორისაა „მოსაზრებები წარმომადგენლობითი მთავრობის შესახებ“, „ქალთა დაქვემდებარება“,[1] „სოციალიზმი“,[2] და „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“.

---

1. იხ. ჯონ სტიუარტ მილი, „ქალთა დაქვემდებარება“. ინგლისური ენიდან თარგმნა დიმიტრი უჩანეიშვილმა, თბილისი: გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი.

2. იხ. ჯონ სტიუარტ მილი, „სოციალიზმი“. ინგლისური ენიდან თარგმნა დიმიტრი უჩანეიშვილმა, თბილისი: გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი.

რეზიუმე

„თავისუფლების შესახებ“ ნაწილობრივ მაინც უნდა გავიგოთ, როგორც პროდუქტი და პასუხი ინგლისის ვიქტორიანულ ეპოქაზე, რომლის განმავლობაშიც ის იწერებოდა. ეს პერიოდი ხასიათდება სოციალური ღირებულებების (რომლებსაც ხშირად ვიქტორიანული ღირებულებები ეწოდება) განსაკუთრებული ნაკრებით, რომლებითაც ხაზგასმული იყო შრომისმოყვარეობა, მომჭირნეობა და „რესპექტაბელური“ ქცევა. თუმცა იმ დროს ეს ღირებულებები გარკვეულ კრიტიკას იმსახურებდა, ისინი მაინც ფართოდ იყო გავრცელებული. გარდა ამისა, ვიქტორიანული პერიოდი ხასიათდება სერიებით რეფორმატორული მოძრაობებისა, როგორიცაა, მაგალითად, მოძრაობა თავშეკავებულობისთვის. აღნიშნული მოძრაობები ხშირად ასახავდა სურვილს ვიქტორიანული ღირებულებების გავრცელებისა საზოგადოებაში. მიუხედავად ამისა, მილს ეს ინსტიტუტები შემზღუდველად მიაჩნდა და მათ ყოვლისშთანმთქმელ ბუნებას კაცობრიობის ფესვგადგმულ პრობლემად თვლიდა.

მილი იმით იწყებს, რომ თავისი ესსეის ფარგლებს სამოქალაქო, ანუ სოციალური თავისუფლებით ზღუდავს. ის წერს, რომ ესსეიში განხილული იქნება საკითხი, თუ რა სახის ძალაუფლების განხორციელება ძალუძს ლეგიტიმურად საზოგადოებას ინდივიდზე. მილი წინასწარმეტყველებს, რომ საკითხი თანდათანობით სულ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს, რადგან ზოგი ადამიანი განვითარების უფრო ცივილიზებულ ეტაპზე გადადის, რომელზეც წარმოდგენილია „ახალი პირობები“, რომელთა გათვალისწინებით უნდა მოხდეს ინდივიდუალური თავისუფლების საკითხების გადაწყვეტა.

შემდეგ მილი თავისუფლების კონცეფციის განვითარებას განიხილავს. ანტიკურ საბერძნეთში, რომსა და ინგლისში თავისუფლება გულისხმობდა „პოლიტიკურ მმართველთა ტირანიისგან დაცვას“, და ხშირად ითვლებოდა, რომ მმართველები და ქვეშევრდომები გარდაუვალ ანტაგონისტურ

დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. მმართველი მართვისას თავისი ხალხის ნებას არ ითვალისწინებდა, და თუმცა მისი ძალაუფლება აუცილებლობად მიიჩნეოდა, ის, იმავდროულად, სახიფათოდაც ითვლებოდა. პატრიოტები მმართველის ძალაუფლების შეზღუდვას ორი გზით ცდილობდნენ: 1) ისინი იძენდნენ იმუნიტეტს, რომელსაც „პოლიტიკური თავისუფლება ანუ უფლებები“ ეწოდებოდა. მიიჩნეოდა, რომ მმართველი ვალდებული იყო, პატივი ეცა იმუნიტეტისთვის, და არსებობდა ამბოხების უფლება, თუ ეს უფლებები და თავისუფლებები ირღვეოდა. 2) შემუშავდა კონსტიტუციური შემოწმებები, რომელთა შესაბამისად საზოგადოებას ან მის წარმომადგენლებს ეძლეოდათ უფლება, თანხმობა განეცხადებინათ მართვის მნიშვნელოვან აქტებზე.

მილი ამბობს, რომ საბოლოოდ ადამიანები იქამდე მივიდნენ, ისურვეს, რომ მმართველები მათ მსახურებად ქცეულიყვნენ და მათი ნება და სურვილები გამოეხატათ. მიიჩნეოდა, რომ არ არსებობდა მმართველის ძალაუფლების ამ ახალი სახეობის შეზღუდვის აუცილებლობა, რადგან ის ანგარიშს აბარებდა ხალხს, ხოლო იმის საფრთხე, რომ მოსახლეობა საკუთარი თავის ტირანიზებას მოახდენდა, არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, როდესაც ფაქტობრივი დემოკრატიული რესპუბლიკა ჩამოყალიბდა (შეერთებული შტატები), ცხადი გახდა, რომ ადამიანები ვერ მართავდნენ საკუთარ თავს. უმალ, ძალაუფლების მქონე ადამიანები ახორციელებდნენ მას იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც ძალაუფლება არ გააჩნდათ. კერძოდ, უმრავლესობას შეეძლო ცნობიერად ეცადა უმცირესობის ჩაგვრა. მილი წერს, რომ უმრავლესობის ტირანიის კონცეფცია უმსხვილესი მოაზროვნეების მიერ იქნა მიღებული. თუმცა, მილი ასევე ამტკიცებს, რომ საზოგადოებას ტირანიზება პოლიტიკური საშუალებების გარეშეც ძალუძს. საზოგადოებრივი აზრის ძალას მეტად შეუძლია ინდივიდუალობისა და განსხვავებული აზრის ჩაგვრა, ვიდრე რომელიმე კანონს. ამგვარადო, ამბობს ავტორი, უნდა არ-

ჯონ სტიუარტ მილი

თავისუფლების შესახებ

თავი I
შესავალი

ჩემი კვლევის საგანი ეგრეთ წოდებული „ნების თავისუფლება“ კი არ არის, ასე მოუხერხებლად რომ უპირისპირდება დოქტრინას, რომელსაც შეცდომით ფილოსოფიური აუცილებლობის დოქტრინას უწოდებენ, არამედ სამოქალაქო თუ საზოგადოებრივი თავისუფლება; ბუნება და საზღვრები იმ ძალაუფლებისა, რომელიც სამართლიანად შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებას ინდივიდზე. ეს საკითხი იშვიათად თუ წამოწეულა წინ და მასზე თითქმის არასდროს ყოფილა მსჯელობა, მის ზოგად საფუძვლებზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ღრმა ზეგავლენას ახდენდა ჩვენი დროის ყველა არსებით საკითხზე თავისი ლატენტური არსებობით და მალე, სავარაუდოდ, დადგება დრო, როცა ის აღიარებული იქნება, ყველაზე მნიშვნელოვან სასიცოცხლო საკითხად მომავლისათვის. ეს საკითხი ახალი სულაც არ არის, ის კაცობრიობას შორეული წარსულიდან მოჰყვება და ადამიანების ერთგვარ გამყოფს წარმოადგენს. ის პროგრესის იმ საფეხურზეა, რომელზეც ახლა კაცობრიობის ყველაზე ცივილიზებული ნაწილი იმყოფება. ის საკუთარ თავს წარმოაჩენს ახალ პირობებში და ამიტომ სრულიად სხვა და უფრო საფუძვლიან განხილვას მოითხოვს.

თავისუფლებასა და ძალაუფლებას შორის ბრძოლა არის ყველაზე მკვეთრი დამახასიათებელი ნიშანი ისტორიის იმ პერიოდებისათვის, რომლებსაც ჩვენ ყველაზე ადრე ვეცნობით, განსაკუთრებით კი, რომის, საბერძნეთისა და ინგლისის ისტორიაში. ძველ დროში ეს ბრძოლა მიმდინარეობდა ქვე-

შევრდომებს შორის, ან ქვეშევრდომების ზოგიერთ კლასსა და მთავრობას შორის. მაშინ თავისუფლებაში გულისხმობდნენ პოლიტიკური მმართველების ტირანიისგან თავდაცვას. მიჩნეული იყო, რომ მმართველებს (გარდა ზოგიერთი პოპულარული მთავრობისა საბერძნეთში) თუნდაც მხოლოდ საკუთარი მდგომარეობის გამო, ანტაგონისტური დამოკიდებულება უნდა ჰქონოდათ იმ ხალხის მიმართ, რომელსაც ისინი მართავდნენ. პოლიტიკური ძალაუფლება იმ დროს, ჩვეულებრივ, ეკუთვნოდა ერთ ადამიანს, მთელ ტომს ან კასტას, რასაც ისინი ან მემკვიდრეობით იღებდნენ, ან დაპყრობის შედეგად და არა მათი სურვილით, ვისაც ისინი მართავდნენ. და მართულები, ჩვეულებრივ, ვერ ბედავდნენ, ან იქნებ სურვილიც არ ჰქონდათ, ძალაუფლება სადავოდ გაეხადათ, თუმცა კი, ყველა შესაძლო საშუალებით ცდილობდნენ მათი შემავიწროვებელი ქმედებები აღეკვეთათ – ისინი თავიანთი მმართველების ძალაუფლებას უყურებდნენ, როგორც რაღაც აუცილებელს, მაგრამ, ამავე დროს უკიდურესად სახიფათოს, როგორც იარაღს, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებულიყო მათ წინააღმდეგ ისევე, როგორც გარე მტრების მიმართ. მაშინ აუცილებლად ითვლებოდა საზოგადოებაში არსებულიყო ისეთი მტაცებელი, რომელიც საკმაოდ ძლიერი იქნებოდა იმისათვის, რომ სხვა, აურაცხელი მტაცებლები შეეკავებინა და მათგან საზოგადოების სუსტი წევრები დაეცვა. მაგრამ რამდენადაც მტაცებლების მეფესაც არანაკლებ ჰქონდა იმის მიდრეკილება, რომ მტაცებლური ბუნება თავისი ჯგროს მიმართ გამოევლინა, თემის თითოეული წევრი გრძნობდა აუცილებლობას მუდამ ფრთხილად ყოფილიყო, რათა ნისკარტი და ბრჭყალები აერიდებინა. ამიტომ, იმ დროში, პატრიოტების მთავარი მიზანი იყო მთელი ძალისხმევა იქითკენ მიემართათ, რომ პოლიტიკური მმართველების ძალაუფლება შეეზღუდათ. სწორედ ასეთი შეზღუდვა მიაჩნდათ მათ თავისუფლებად. ეს თავისუფლება ორი სხვადასხვა საშუალებით მიიღწეოდა. ან, პირველ რიგში, მმართველის მიერ ისეთი შეღავათების აღიარებით, რომელსაც პოლიტიკური თავისუფლება ან პოლი-

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

9. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
10. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
11. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
12. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID

13. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
14. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

15. ბერტრან რასელი – ესეები
16. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

17. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
18. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
19. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

20. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
21. ერიხ ფრომი – ადამიანის სული

22. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
23. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
24. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
25. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

26. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
27. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

28. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

29. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
30. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

31. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
32. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
33. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია

34. ოშო – რა არის მედიტაცია?
35. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

36. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
37. დევიდ ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

38. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
39. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

40. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
41. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ

42. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
43. გიორგი გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“
44. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი I
45. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი II
46. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი III

47. ეკჰარტ ტოლე – აწმყოს ძალა
48. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა
49. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
50. ნონა ხიდეშელი – Carpe diem

51. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
52. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
53. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

54. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ